საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი

საცხოვრებელი ბინის მხატვრულ-ესთეტიკური და ფუნქციური გადაწყვეტის პრინციპები

ხელმძღვანელი: არქიტექტურის დოქტორი,

გიორგი წულუკიძე

დოქტორანტი: კანტიძე ელენე

ჯგ. 2015.8 კურსი II

2017 წ.

ბინის ინტერიერის შექმნისას ბევრი პრობლემა წარმოიქმნება. აქედან გამომდინარე, საჭიროა სწორად მივუდგეთ საკითხს, რათა შევქმნათ „სასახლე“.ამისათვის საჭიროა, სივრცის ზონებად დაყოფა (ტიხრებით, ავეჯით, ჭერითა და იატაკით). ფერის, სტილის, განათების, ავეჯისა და სხვა მეთოდების სწორად გამოყენება. ბინის მოწყობისას მთავარი ამოცანაა მხატვრულ-ესთეტიკური და ფუნქციური ორგანიზება.ორიგინალური და ეფექტური იდების წყალობით შესაძლებელია ბინისთვის ვიზუალურად რამდენიმე კვადრატული მეტრისდამატება ან გამოკლება.

ბინა ერთდროულად შეიძლება ასრულებდეს სასტუმრო ოთახის, საძინებლის, სასადილო ოთახის და კაბინეტის ფუნციას.

1. ბინის დაგეგმარება

სივრცის დაპროექტების დაწყებისას მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ, ვისთვის იქმნება საცხოვრებელი ბინა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ შერჩეული გარემო შეესაბამებოდეს ადამიანის ერგონომიკულ მახასიათებლებს. ბინის დაპროექტებისას გასათვალისიწინებელია, რომ იგი არ უნდა იყოს მხოლოდ ფუნქციურად გამართული. სიმყუდროვე და სტილი ასევე შედის მისი ფორმირების ამოცანაში. სხვადასხვა დიზაინის გამოყენებისას, შეიძლება ცარიელი კარკასი გადაიქცეს საკმაოდ მიმზიდველ ბინად. თუმცა, ყველა შემთხვევაში საჭიროა ინდივიდუალური მიდგომა. საცხოვრებელი ბინის ინტერიერის სრულფასოვანი, ფუნქციური და ესთეტკიური გადაწყვეტის მიზნით მნიშვნელოვანია იმ რეკომედაციებისა და წინადადებების გათვალისწინება, რომელიც უზრუნველყოფს მათი შიგა სივრცის მრავალმხრივ და სწორ ფორმირებას.

დაპროექტებისას მნიშვნელოვანია საცხოვრებელი ბინის სწორი ფუნქციური გადაწყვეტა. ყველაზე ხშირად ზონირება ხდება ჭერის და იატაკის დიზაინის დახმარებით. ეს შეიძლება იყოს ფერითი განსხვავება, ჭერის და იატაკის სხვადასხვა დონე. სწორი გეგმარებით შესაძლებელია ჩვეულებრივი, მცირე ზომის ოროთახიანი ბინა გადაიქცესთანამედროვე, სტუდიოს ტიპის ბინად, მოძრავი ტიხრებით ან ცალკეული ზონებით, რომლებიც გამოყოფილია ფერებით ან ავეჯით.

2. ბინისინტერიერის ზონირება

თანამედროვეინტერიერიდიდადარ„სწყალობს“ კედლებს, კარებს, მასიურობას, სიბნელეს. თანამედროვეინტერიერს„უყვარს“ორგანიზებული, მოწესრიგებული, მშვიდისივრცე.

ინტერიერის ზონირება შესანიშნავი მეთოდია, რომელიც გვეხმარება ბინის რამდენიმე პატარა სივრცედ დაყოფაში. ზონირებისმრავალიმეთოდიარსებობს: დაწყებულიკედლებითდადამთავრებულიწარმოსახვითიზონებით. ზონირება შესაძლებელია ხალიჩების ან ტიხრების დახმარებით. ასევე, შესაძლებელია ზონირების გლობალური მეთოდის - გადაგეგმარების გამოყენებაც.

თანამედროვე დიზაინერს შეუძლია შემოგვთავაზოს ავეჯით ზონირება. მთავარიაავეჯის სწორად განთავსება, რომ არ გაჩნდეს გადატვითულობის შეგრძნება.ბინის დანარჩენი ნაწილი შესაძლებელია დაიყოს მოძრავი–მობილური ტიხრებით, რომლებიც ძლიან მოხერხებული და მოდურია.

ბინის გაყოფა მხოლოდ ტიხრების მეშვეობით არ ხდება. ტიხარმა შეიძლება გამოიწვიოს სივცის შეზღუდულობის შეგრძნება. ამიტომ ჯობია მივმართოთ კომბინირებულ მასალებით გაფორმების ხერხს.

სივრცის გაყოფა ხშირ შემთხვევაში ხდება თაბაშირმუყაოს ჭერით, რომელიც სხვადასხვა დონეზეა მოწყობილი, რაშიც მონტაჟდება სხვადასხვა ფორმისდა ფერის სინათლის ჰალოგენური სოფიტები, რომლებიც აძლიერებენ ამა თუ იმ ზონის გამოყოფის ეფექტს.

იატაკზე შეიძლება საფეხურებრივი იატაკის მოწყობა -ეს არის საერთო ფართობის გამოყოფის კიდევ ერთი საშუალება.

კედლებისგანსხვავებულიფერი / ფაქტურა–შესაძლებელიაროგორცერთი-ორიკედლის, ასევეკედლისნაწილისგამოყოფაგანსხვავებულფერშიშეღებვით, ანსხვამოსაპირკეთებელიმასალისგამოყენებით.

ფერადიაქცენტები– შედარებითიშვიათადგამოყენებადიმეთოდიადასაჭიროებს სიფრთხილეს. ზომიერადგამოყენებისშემთხვევაშიმიიღება სასურველი შედეგები.

წარმოსახვითიზონირება –

ამვარინტშიგამოკვეთილადარცერთიზემოხსენებულიმეთოდიარგამოიყენებადასაკვან ძომომენტია სივრცეებისსწორადდაგეგმვაისე, თითქოსმათშორისკედლები, ანვიწროკორიდორებიიყოსგანლაგებული.

3. ბინის ინტერიერის სტილის შერჩევა

დღეისთვისცნობილიასაკმაოდბევრიგანსხვავებულისტილი. თავდაპირველადყველასტილიეპოქიდანეპოქამდეთანდათანობითვითარდებოდა,მეც ნიერების, ტექნიკისადაარქიტექტურისგანვითარებისპარალელურად, ანტიკურიდანდღევანდლამდე. თუმცასულუფროხშირადჩნდებასხვადასხვასტილი, რომელიცაღარასახავს ამათუიმეპოქას, თუმცამასაცაქვსსახასიათოთავისებურებები.

არ არის სასურველი საცხოვრებლის ეკლექტიკურ სტილში მოწყობა (როგორც კლასიკური სტილი, იგი მოითხოვს დიდი რაოდენობით სხვადასხვა დეტალს, რაც უადგილოა მცირე ზომის სივრცეში). მაგრამ ასებობს ისეთი ოპტიმალური გადაწყვეტა, როგორიცაა სკანდინავიური სტილი, ლოფტი ან მინიმალიზმი, რომელთა წყალობითაც შესაძლებელია ეფექტურად გავფორმდეს ნებისმიერი ბინა, ასევე შესაძლებელია სტილის სწორად შერჩევით სივრცის ვიზუალური ზრდაც.

თანამედროვე სტილებია:მინიმალიზმი, კონსტრუქტივიზმი, ფუნქცური, ჰაი-ტეკი, ეკოლოგიური, პოპ-არტი, ორგანული, ნეო-ბაროკო, ტექნო, ავანგარდიზმი, მოდერნი.ბინის დაპროექტება ყველაზე მარტივია მინიმალიზმის სტილში. მინიმალიზმიეს არის ლაკონიურიფორმები, მკაცრიხაზები, მონოქრომულიფერთაგადაწყვეტა, თეთრისუპირატესობით. ასევე ბოლო დროსაქტუალურია "ლოფტის" სტილი. ესამერიკულისტილია, ხაზგასმულადასკეტურია. ყველაფერიმოსახერხებელი, პრაქტიკული, ეფექტურიდაარადატვირთულია.

თუკი ჰაიტეკს ავირჩევთ, ეს პირველ რიგში ერგონომიკაა. ანუ მინიმალური ავეჯი მაქსიმალური ფუნქციებით, რაც ,თავისმხრივ, კარგია მცირეზომის სივრცისთვის.ასევე მეტალის საგნები ინტერიერში, გლუვი, პრიალა ზედაპირითა და

სარკეებით, რომელთა წყალობით სულ პატარა მისაღები ოთახიც კი სინათლით ივსება.

“კლასიკურ” სტილშიშესრულებულიინტერიერიიდეალურადმიესადაგებაკონსერვატიულიტიპისადამიანს,რომელიცყველაფერშიეძებს სრულფასოვნებასდადიდმნიშვნელობასანიჭებსტრადიციებისდაცვას.ამსტილსახასიათებსანტიკურიარქიტექტურისელემენტებისგამოყენება,პროპორციულობისპრინციპი სმკაცრიდაცვა,ფორმებისუბრალოებადაბუნებრიობა.

“ინგლისურკლასიკას” განასხვავებსსაზეიმოელფერი,მასიურობადათვალშისაცემიმედიდურობა — ესსტილიშეიძლებაიყოსგამოყენებულიმაღალჭერიანიდიდიბინისგაფორმებისდროს.

“ბერძნულ-რომაულ
“სტილსახასიათებსბუნებრივი,პროპორციულიფორმებიდაშეიძლებაიყოს შესანიშნავიარჩევანი პრაქტიკულადნებისმიერიბინისგაფორმებისთვის.

4. ინტერიერის კოლორისტულ– დეკორატიული გადაწყვეტა

ბინის ინტერიერის დაპროექტებისას დიდი მნიშვნელოვაბა აქვს შერჩეული ფერებისშესაბამისობას ადამიანის ხასიათსა და ტემპერამენტთან. ამასთანავე, უნდა გავითვალისწინოთ თუ რა სტილში იქნება გადაწყვეტილი ამ საცხოვრებლის ინტერიერი. აქედან გამომდინარე, ზოგიერთი სტილი, დასაწყისშივე განსაზღვრავს ფერთა პალიტრას. მაგალითად, ჰაი-ტექ ინტერიერი ერთიანიფერთა გამით დიდად განსხვავდება რომანტიკული შები-შიკისგან, დაწყებული პლასტმასის კარ-ფანჯრით და დასრულებული იატაკის საფენით. ფერთა გამა, რომელიც გამოიყენება სივრცის გასაფორმებლად, იძლევა მის ფორმებთან და მასშტაბებთან „თამაშის“ საშუალებას. ნათელი ფერი ზრდის საზღვრებს, მუქი ტონები კი აპატარავებს.

ასევე, არ არის რეკომენდებული ერთი სივრცის გაფორმებისასერთდროულად 3 ფერზე მეტის გამოყენება. რა თქმა უნდა ყველა წესს აქვს გამონაკლისი, მაგრამ როგორც წესი, ძირითად ფერად ხდება ნეიტრალური ტონის არჩევა და ივსება ორი, შედარებით უფრო დატვირთული ფერით.

კლასიკური, უპრეტენზიობინის შექმნა, რეკომენდებულია შამპანურის ფერის, კვერცხის ცილის ფერის, კრემისფერის, ღია ყავისფერის, ნაზი ტერაკოტისფერის ან ღია ოქროსფერის გამოყენებით. ეს ფერები ინტერიერში შემოიტანს სიმყუდროვეს და სიმშვიდეს.

ენერგიული და სიცოცხლეზე შეყვარებული ადამიანისთვის ინტერიერი უნდა იყოს კონტრასტების თამაში. ტრადიციულად კარგი იქნება ასეთ შემთხვევაში ძირითად ფერად თეთრს ან ღია ნაცრისფერს შერჩევა, რომლებიც ეფექტურად შეერწყმება დატვირთულ ფერებს.

უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია ნაკლებად იყოს გამოყენებული მუქი ტონები. შესაძლებელია მათი გამოყენება დეტალებზე, ინტერიერში ამა თუ იმ საგანზე ყურადრების მისაპყრობად. უმჯობესია გამოყენებული იქნას პასტელური ტონები. ფერის არჩევისას გამოდგება საღებავების ფერთა პალიტრა. მისი დახმარებით მაშინვე გამოჩნდება ნახევარტონების შერწყმა, თუ როგორ ურთიერთქმედებენ ისინი ერთად.

ფერს მნიშვნელოვანი როლი უჭირავს ინტერიერში. ყველა ნათელი და თბილი ფერი ვიზუალურად ადიდებს სივრცეს და არ აქვს მნიშვნელობა რა იქნება ეს- ავეჯი, იატაკი თუ კედლები. მთავარია, ეს ყველაფერი არ გადაიქცეს ერთ უზარმაზარნათელ ლაქად, ამიტომ გამოსაყენებელია ცოტაოდენი მუქი ტონიკონტრასტისთვის. ეს შეიძლება იყოს ხალიჩა იატაკზე ან ნახატი შპალერზე.არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს მუქი ფერების უპირატესობა. ეს ტონები „ჩაყლაპავს“ ბინის ინტერიერს.

ფერის შერჩევა ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია, რომელსაც არ აქვს იმაზე პატარა მნიშვნელობა ბინის დაპროექტების დროს, ვიდრე დაგეგმარებას და ავეჯს.

ფერის სწორად შერჩევისას, ბინა შესაძლებელია ვიზუალურად გაიზარდოს ან დაპატარავდეს. ამ ეფექტის მისაღებად საჭიროა შეირჩეს ნათელი, თბილი ტონალობა. ჭერი და კედლები ნათელ ფერებში გაზრდის ოთახის სიმაღლეს. სიმაღლის ზრდის ეფექტს აძლიერებსჭერში ჩაშენებული ან პატარა ნათურები. ხოლო გრძელ საკიდზედაკიდებული და ამასთან ერთად დიდი ზომის ჭაღები ხელსუშლის ოთახის ფართობის ზრდას. გრძელი ფართები ასევე აძლიერებს სიმაღლის ეფექტს.

იატაკის, ჭერის და კედლის შეღებვისას უკეთესია უპირატესობა ენიჭება ნათელ ტონალობას. რაც უფრო ნათელი იქნება ტონალობა მით უფრო ფართო გამოჩნდება საცხოვრებელი. უმჯობესია თეთრი ფერის ძირითად ფერად გამოყენება და მასში უფრო ცოცხალი ტონალობების შერევა.

ასევე, მნიშვნელოვანია ხალიჩაზე და შპალერზე ნახატის სწორად შერჩევა. თუ ის ვერტიკალურად არის მიმართული, მაშინ ვიზუალურად ოთახი კიდევ უფრო გაიზრდება სიმაღლეში, ხოლო ჰორიზონტალურად მიმართული ნახატი მას სიგანეში გაზრდის.

5. ბინის ავეჯით მოწყობა

სახლისინტერიერის დიზაინის მოწყობისას განსაკუთრებული ყურადღება ავეჯს ეთმობა. ბინის დადეგმარების დროს ავეჯის განლაგებასთან ერთად, დიდ როლს თამაშობს მისი ფერი. ასევე,ბინის ზონირებაცკი შეიძლება შესრულდეს ავეჯის დახმარებით. სივრცის ზონებად დასაყოფად შეიძლება სტელაჟის და დივანის გამოყენება. ავეჯის სწორი განლაგება ოთახის ვიზუალურ გაფართოებას და ფუნქციურ ზონების გამოყოფას უწყობს ხელს.

პატარა ბინის პირობებში ინტეგრირებულ და ტრანსფორმირებად ავეჯს შეუძლია მნიშვნელოვნად გაამარტივოს ინტერიერის მოწყობა. ჩაშენებული ავეჯი და სამზარეულოს გარნიტურა, ტრანსფორმირებადი დივანი, დასაკეცი მაგიდები - ეს ყელაფერი გენიალური გამოგონებაა, რომელიც უზრუნველყოფს კომფორტს ნებისმიერ პირობებში.

მცირე გაბარიტიანი ბინის დაპროექტებისერთ–ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ერგონომეტრიული იდეები. მაგალითად, ბინა-სტუდიამ შეიძლება დღეში რამდენჯერმე შეიცვალოს თავისი დანიშნულება.

სამუშაო ზონაში ტრადიციულად შედის კომფორტული მაგიდა და სკამი. მაგრამ ბინის ინტერიერი ყოველთვის არ იძლევა აღნიშნულის საშუალებას. ამიტომ, მაგიდის ფუნქცია შეიძლებაფანჯრის რაფამ შეასრულოს.

6. ბინის ინტერიერის განათება

ერთ–ერთი მნიშვნელოვანი დეტალი ინტერიერის მოწყობისას არის მისი ბუნებრივი და ხელოვნური განათების რეჟისურის შერჩევა. იქიდან გამომდინარე, რომ ნათელი ბინა ვიზუალური ზრდის ილუზიას ქმნის, ყველაზე უკეთ ამ შემთხვევაში გამოდგება განატების თანამედროვე მეთოდი – წერტილოვანი განათება.

ხელოვნური განათება ბუნებრივისგან განსხვავებით გამაჯანსაღებელ თვისებებს არ ატარებს, თუმცა, ხშირად ის ესთეტიკურად და ფუნქციურად ბევრად მოსახერხებელია. არსებობს როგორც აქცენტური, ისე ფუნქციური განათება.

განათებაოთახისფართობისპროპორციულიუნდაიყოს. მაღალჭერიანიოთახისთვისუმჯობესია დაკიდებულიჭაღისშერჩევა, მისაბჯენიჭაღიაქაბსოლუტურადმიუღებელია, ისვერმოახერხებსოთახისთანაბრადგანათებას.

სტანდარტულისიმაღლისჭერისმქონეოთახივერიტანსდაბლაჩამოწეულჭაღს, გამონაკლისისგარდა.მაგალითად, თუჭაღიმოთავსებულიასასადილომაგიდისთავზეოთახისშუაგულში. სხვაშემთხვევაშიუმჯობესიაისეთიჭაღისგამოყენება, რომელიცმიბჯენილიიქნებაჭერზე.

7. ბინის ინტერიერის ვიზუალური ზრდის

ბინის ვიზუალური ზრდისთვის შესაძლებელია მინის გამოყენება ნებისმიერი ფორმით. მაგალითად, შეიძლება შეიმინოს ოთახებსშორის არსებული კარი ან კარადა, რომლის კარებიც გამჭვირვალე იქნება.

სასარგებლო სივრცის ეკონომიისთვის რეკომენდებულია დასაკიდი და არა იატაკზე დასადგამი კარადების და თაროების გამოყენება. სააბაზანოში უმჯობესია საშხაპე კაბინის განთავსება, რადგანიგი თანამედროვედ გამოიყურება და ამასთანავე გამონთავისუფლდება ადგილი პატარა სარეცხის მანქანისთვისაც. უმჯობესია შეირჩეს კომპაქტური საოჯახო ტექნიკა, მათ შორის სამზარეულოს ტექნიკაც.

8. კარ-ფარჯრის როლი ბინებში

უმჯობესიაშეირჩეს მსუბუქი, ბადისებური ან მოდურ რომაული ფარდები, რომლებიც ატარებენ მქრქალ მბჟუტავ სხივებს. თუ ფანჯარა არის ჩრდილოეთ მხარეს, მაშინ ოთახის განათებასგააძლიერებს სარკეები ან ავეჯის პრიალა ზედაპირებიც.

მუქი და მასიური კარი ოთახს ვიზუალურად დააპატარავებს. „მცოცავი“ კარი ოთახში დამატებით თავისუფალ სივრცეს „გვაჩუქებს“. რაც შეეხება ფანაჯრას, არ უნდა დაიტვირთოს რაფა და მძიმე ფარდა არ უნდა იქნას გამოყენებული.

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბინა არ უნდა იყოს მარტო ფუნქციური. სიმყუდროვე და სტილი ასევე შედის მისი ფორმირების ამოცანაში. ყველა შემთხვევაში საჭიროა ინდივიდუალური მიდგომა.

ამრიგად, ბინების ინტერიერების სრულფასოვანი ფუნქციური და ესთეტიკური გადაწყვეტისმიზნით მნიშვნელოვანია იმ რეკომედაციებისა და წინადადებების გათვალისწინება, რომელიც უზრუნველყოფს მათი შიგა სივრცისმრავალმხრივ დასწორ ფორმირებას, შემდეგი პარამეტრებით:

1. ბინის რაციონალური გეგმარებითი სტრუქტურა;

2. ბინის სწორი ფუნქციური ზონირება;
3. ბინის ინტერიერისთვის სტილის სწორად შერჩევა;
4. ბინის ინტერიერის სწორი დეკორატიული გადაწყვეტა;
5. ბინის სწორად შერჩეული ავეჯით მოწყობა;
6. ბინის ინტერიერში განათების სწორად შერჩევა;
7. ბინის ინტერიერის მასშტაბისა და შემადგენელი ელემენტების თანაზომიერების მართვა ვიზუალური ზრდისა თუ შემცირების მიზნით;
8. კარ-ფარჯრის ფორმისა და პარამეტრების სწორად განსაზღვრა;
9. ზოგადი რეკომენდაციები ბინის ინტერიერის მოწყობისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. http://myinterior.info/dizajn-kvartir/12289/tri-rekomendacii-po-otdelke-malenkoj-kvartiry/
2. http://home.passion.ru/interer/stil-doma/interery-malogabaritnykh-kvartir.htm